ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

ნოქალაქევის ერთობლივი ქართულ-ინგლისური არქეოლოგიური ექსპედიციის 2003 წლის საველე სამუშაოების

ა ნ გ ა რ ი შ ი

ნოქალაქევის საერთაშორისო ექსპედიციის ხელმძღვანელი
ისტ.მეცნ.კანდიდატი - დავით ლომიტაშვილი
ისტ.მეცნ.კანდიდატი – ბესიკ ლორთქიფანიძე
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი - თამილა კაპანაძე
ქიმიკოს-რესტავრატორი – ნინო ქებულაძე

პროექტის დირექტორი – იან კოლვინი
არქეოლოგი – ნიკოლას არმოური
სუპერვაიზერი – პოლ ევერილი
ოსტეოლოგი – ბენჯამინ ნილი

საანგარიშო წელს ნოქალაქევის ქართულ-ინგლისურმა ერთობლივმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ საველე სამუშაოები 15 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე აწარმოა. მიმდინარე წელი ქართულ-ინგლისური პროექტის რიგით მესამე წელი იყო და იგი კვლავ ნოქალაქევის ნაქალაქარის ქვედა ტერასის ცენტრალურ და აღმოსავლეთის სექტორებში, წინა წლებში დაწყებულ თხრილებზე გრძელდებოდა.*

შეთანხმებისამებრ ექსპედიციის სრული დაფინანსება თავის თავზე აიღო ბრიტანულმა მხარემ. ექსპედიციას დასახული გეგმების განხორციელებაში გვერდით ყოველთვის უდაგ ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის, ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის სრული შემადგენლობა (დირ. ენ.კოკაია)

ჩვენი ექსპედიციის მიერ 2003 წ-ს ორივე თხრილზე განხორციელე-ბული არქეოლოგიური სამუშაოებისა და გამოვლენილი მასალების ანალიზს ქვემოთ ცალცალკე ფართოდ შევეხებით. წინასწარ გვინდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნულ თხრილებზე მუშაობა 2003 წელსაც ვერ მომთავრდა და მასზე სამუშაოები 2004 წელს კვლავაც განახლდება.

---

* 2003 წელს ნოქალაქევის ექსპედიცია 17 წევრისაგან შედგებოდა: დ. ლომიტაშვილი (ხელმძღვანელი), ბ.ლორთქიფანიძე (მოადგილე), ნ.ქებულაძე (ქიმიკოს-რესტავრატორი), თ.კაპანაძე (ხელოვნებათმცოდნე), ი.კოლვინი (პროექტის დირექტორი, ოქსფორდი), ნ.არმოური (არქეოლოგი, კემბრიჯი), პ.ევერილი (სუპერვიზორი, საუთჰემპტონი) ბენ ნეილი (ოსტეოლოგი, კემბრიჯი), სტუდენტები: ო.პეიჯი, ტ.ბიშოპი, რ.ლეინი, ქ.ოსბური, ა.სოარი, ჯ.კემპი, ჯ.ვილკინსი, თ.გეგია და ნ.მურღულია

არქეოლოგიური გათხრები A თხრილში

საანგარიშო წელს სამუშაოები გძელდებოდა ნაქალაქარის ქვედა ტერასის აღმოსავლეთ სექტორში, გალავნებთან, ეზოს მხრიდან: კვ.**F**-6. აქ არქეოლოგიური გათხრები ჯერ კიდევ 2001 წელს დაიწყო და გეგმაზომიერად მიმდინარეობს სამი სეზონის განმავლობაში. 2003 წელს „0”-ვანი ნიშნულიდან 2.40-2.70 მ-ის სიღრმეზე დავედით. აღსანიშნავია, რომ წინა სეზონების დროს თხრილში კარგად იკითხებოდა სტრატიგრაფია. ამას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ აღმოსავლეთის გალავნის ნაწილი ჩამოქცეული იყო შიდა ეზოსაკენ (სავრაუდოდ VIIIს-ის შუახანებში - ბ.ლ.) და მის ქვეშ მოყოლილი ტერიტორია ამ დროის შემდგომ ხელუხლებელი იყო. ჩვენ მოველოდით, რომ საანგარიშო სეზონში ზემოთ აღნიშნულ სიღრმეებზე უნდა გამოჩენილიყო ელინისტური ხანის, ძვ.წ. III-I სს არქელოგიური მასალები მოსალოდნელი შედეგი მართლაც დაფიქსირდა. მასობრივ არქეოლოგიურ მონაპოვართან ერთად გამოვლინდა სამი სამარხი, რომლებიც სწორედ ელინისტური ხანით თარიღდებიან. პირველ რიგში მოგაწვდით ინფორმაციას აღნიშნული სამარხების შესახებ.

2.50 მ-ის სიღრმეზე გამოვლინდა ადამიანის ჩონჩხი (კონტექსტი 154). იგი დაკრძალული იყო პირდაპირ მიწაზე, მარცხენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით აღმოსავლეთისაკენ. სამარხის სიგრძე 110 სმ-ია. მიცვალებულს მარცხენა ხელზე ეკეთა ბრინჯაოს სამი სამაჯური. თავთან-სახის წინ ედო თიხის სანელსაცხებლე. ფეხებთან თიხის ოთხი ჭურჭელი. ჩონჩხის აღებისა მიწის დამუშავების შემდეგ გამოვლინდა დიდი რაოდენობით მძივები.

<u>სამარხში აღმოჩენილი ნივთები:</u>

1. ლეგა ფერის პატარა ზომის დოქი; პირგადაშლილი, ოვალურგანივკვეთიანი პირდაპირ პირზე მიძერწილი ყურით.
2. მოვარდისფრო ხელადა. პირი ოდნავ გარეთ გადმოხრილი, ყური მიძერწილია პირს ქვემოთ ყელზე, მუცელი ოდნავ მომრგვალებული.
3. ვარდისფერი თიხის დოქი, მუცელგამობერილი, მუზელზე ზოგან ეტყობა ცეცხლის კვალი; ყური მიძერწილია პირთან და მუცლის გამობერვის ადგილას, პირმომტვრეული.
4. აგურისფერი თიხის სანელსაცხებლე, წვრილი წაგრძელებული კორპუსით ბრტყელი ძირით, გამობერილი მუცლით და პირისაკენ და ძირისაკენ მკვეთრად დავიწროვებული კორპუსი. პირმომტვრეული, ანლოგიური ჭურჭელი ჩვენთვის ცნობილია ვანის ნაქალაქარიდან. ეგზემლარი წარმომავლობით იმპორტულია.
5. ლეგა-ნაცრისფერი თიხის ყურიანი ქოთანი; პირი ოდნავ გადმოშლილი, ფართო პირით; ყური მომრგვალებული; ეტყობა ცეცხლზე დების კვალი.
6. სამაჯური – 3 ცალი; ბრინჯაოსი, წვრილღეროიანი, ზურგშეზნექილი, ბოლოები გამსხვილებული, წაკვეთილი.
7. სამაჯური – 1 ცალი, რკინის, მსხვილღეროიანი, ძლიერ დაჟანგული.
8. საყურე – რგოლი, 1 ცალი, ბრინჯაოსი, წვრილღეროიანი.
9. მშვილდსაკინძი – ბრინჯაოსი, წვრილღეროიანი, ნაკლული.
10. მძივები – სხვადასხვა ფორმის, ძირითადად წვრილი იოტები, ლურჯი მინის და ყვითელი პასტის, რამოდენიმე სარდიონის დიდი ზომის.

2.55 მ-ის სიღმეზე გამოვლინდა სამარხი (კონტექსტი №148), სიგრძე –170 სმ; მიცვალებული დასვენებული იყო პირდაპირ მიწაზე გაშოტილ მდგომარეობაში; ხელები მკერდზე ჰქონდა დაკრეფილი, თავით დასავლეთით. ინვენტარი უშუალოდ სამარხში არაა გამოვლენილი.

2.65 სიღრმეზე გამოვლინდა სამრხი(კონტექსტი №139). ჩონჩხი გაშოტილ მდგომარეობაში პირდაპირ მიწაზე იყო დასვენებული თავით აღმოსავლეთით ჩონჩხის მცირეოდენი დამხრობით სამხრეთისაკენ. მიცვალებულის სიგრძე 143 სმ-ია. ხელები გულზე ჰქონდა დაკრეფილი. ინვენტარიდან გამოვლინდა ტყვიის ნივთი.

სამარხში გამოვლენილი ნივთები:

1. ტყვიის ნივთი, სუდარის შესაკრავი, ერთმანეთზე დაბრტყელებული ორი ნაწილით.

არქეოლოგიური სამუშაოები „B" თხრილზე

აღნიშნულ თხრილზე3 ინგლისელი სტუდენტების ძირითადი ნაკადის ჩამოსვლამდე მცირე მასშტაბიანი საპრეპარაციო სამ საოები დავიწყეთ 15 აგვისტოს. წინა წლის საველე ანგარიშში ცვენს მიერ დაწვრილებით იყო განხილული ის შედეგები, რაც აღნიშნული თხრილის არქეოლოგიურმა შესწავლამ მოგვცა. ეს უმთავრესი შედეგი რაც 2002 წლის არქეოლოგიურმა სეზონმა მოგვცა „B" თხრილზე, რაც გულისხმობდა თვისობრივად ახალ, მანმადე ნოქალაქევიდან ჩვენთვის უცნობი სამაროვნის გამოვლენას 2003 წლის არქეოლოგიური კამპანიის დროს კვლავინდებურად აქტუალური რჩებოდა. მით უფრო, რომ 2002 წლიდან პასუხიგაუცემელი რამოდენიმე საკითხი გადმოყვა. პირველყოვლისა ეს ეხებოდა სამაროვნის რაობის საკითხის გარკვევას, რადგან სწოწრედ ამ წელლს დაფიქსირდა ერთ ქრისტიანულ სამარხში (?) ოთხი მიცვალებულის (მათგან სამი თავდაპირველი, ერთი მეორადი დაკრძალვის) არსებობის ფაქტი. იმავე წელსვე დროის უკმარისობის გამო საპრეპარაციოდ დავტოვეთ ორი სამარხი თხრილი სამხრეთ კედელთან.

2003 წლის არქეოლოგიური გათხრები საპრეპარაციო სამუშაოებით კი დავიწყეთ წინა წლის თხრილის მთელ პერიმეტრზე, მაგრამ იმავდროულად ბრიტანელ კოლეგებთან კონსულტაციების შედეგად გადაწყდა თრილის თავდაპირველი ზომების სულ ცოტა ორჯერადად გადიდება ჩრდილოეთის ფერდების მიმართულებით. მონიშნულ იქნა ფართობი ზომებით 13მX7,5მ რის შედეგადაც მივიღეთ თხრილი სრული ზომებით 20მX7,5მ.

მუშახელის საკმაო რაოდენობით ყოლამ საშუალება მოგვცა პარალელურად საპრეპარაციო სამუშაოები გაგვეგრძელებინა ზველი თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში. სამაროვნის ეს მონაკვეთი როგორც ავღნიშნეთ წინა წელს მოვინიშნეთ. 2003 წლის №1 სამარხი, რომელიც სწორედ წინა წელლს იქნა გამოვლენილი პრეპარირებულ იქნა. მისი დამხრობა O-N-ის ხაზს გასდევს. მიცვალებული ოდნავ მარცხენა გვერდზეა გადახრილი. შესაძლოა რელიეფისა და მიწის გრუნტის არამყარი მდგომარეობის გამო. სამარხი უინვენტაროა და მისი ტოპოგრაფია საშუალებას იძლევა **საერთოდ კომპლექსი ეგრისის სამეფოს განვითარების საწყისი საუკუნეებით დათარიღდეს, სავარაუდოდ ახ.წ. IV-VIსს.** სამარხი ნულოვანი ნიშნულიდან 2,20სმ-ის სიღრმეშია მოწყობილი. სამარხი ორმო გაჭრილია გრუნტში. ჩონჩხი ქვედა კიდურების არეში ნაკლულია. ერთადერთი ნივთი, რომელიც სამარხის პრეპარაციის შედეგად გამოვლინდა ბრინჯაოს ბალთაა.

მეორე სამარხი აღნიშნულ თხრილში გამავალ აღოსავლეთის კედლის ძირში 1,80სმ-ის სიღრმეში დაფიქსირდა (კონტ.304). სამარხი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთითაა ორიენტირებული. ჩონჩხის დაცულობა კარგია, მიცვალებული გაშოტილ მდგომარეობაში დაუკრძალავთ. პრეპარაციის დროს სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში კოჭ-ტერფის მიდამოში, სამარხის დონეზე

ოქროს მინიატურული ნივთი იქნა გამოვლენილი. ნივთი ნახევარწრიული მოყვანილობისაა, ერთი მხარე სდა აქვს, მეორე მხარეს კი ლურჯ ფონზე შესრულებული ორსტრიქონიანი ბერძნული წარწერის გარკვევა შეიძლება. ასოები ოქროს სირმებითაა შესრულებული. ასოთა შიგთავსი თეთრი მასითაა შევსებული. ჩვენს მიერ გამოთქმულ იქნა წინასწარული ვარაუდი ნივთის ზოგად ქრონოლოგიასთან და რაობასთან დაკავშირებით. აღმოჩენის ტოპოგრაფიიდან გამომდინარე (ნივთის პირდაპირი ანალოგიები ჯერჯერობით სამწუხაროდ ვერ მოვიძიეთ) ნივთი ჩვენს მიერ ზოგადად V-VI სს-ით იქნა დათარიღებული. ექსპედიციის თბილისში დაბრუნების შემდეგ ნივთი პალეოგრაფიულად შესწავლისათვის გადაეცა აკად.თ.ყაუხჩიშვილს. ქ-ნ თ.ყაუხჩიშვილის დასკვნა, რომელიც ნივთის სახიერი მხარის ციფრული ფოტოგრაფირების ვარიანტს ემყარება გარკვეულ მინიშნებას აკეთებს ნივთის თარიღთან დაკავშირებით. მართალია ქ-ნი თინათინი ნივთის თარიღთან დაკავშირებით ზოგადად ბიზანტიურ ხანას იღებს, მაგრამ წარწერაში გამოყოფს რომოდენიმე ასოს, რომელთა შესწავლა უფრო კონკრეტული თარიღის დასმის საშუალებასაც იძლევა. მაგალითად, და ასოები (პირდაპირი ანალოგიებით ლაპიდარული, ჭედური, ფრესკული ნიმუშების მიხედვით) ახ.წ. VI-VII სს-დან გვხვდება. ჩვენეული და ქ-ნ ყაუხჩიშვილისეული თარიღების თანხვედრა ახ.წ. VI ს-ზე ხდება. არ გამოვრიცხავთ რომ ნივთის, ისევე როგორც სამრხის ზოგადი თარიღი სწორედ VIს იყოს. ნივთი როგორც ჩანს რომელიღაცა რთული ნივთის დეტალია. პირადად ჩვენის აზრით საქმე გვაქვს ტიხრულ წარწერასთან მინანქარში ორი ფერით: ცისფერი ლაზურითა და თეთრით ასოებში. დღეს კონსულტაციები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გრძელდება ხელოვნების ინსტიტუტის წამყვან მეცნიერ თანამშრომელთან, პროფ. ლეილა ხუსკივაძესთან. იმ შემთხვევაში თუ დადასტურდა, რომ საქმე გვაქვს ნამდვილად მინანქართან (რისი პირველი ნიშნებიც უკვე გამოიკვეთა, ტიხრები, სამინანქრე მასალის ორფეროვნება და სხვ.) მაშინ სავარაუდოდ საქარტველოში მინანქრის არსებობა ახ.წ. VI ს-დან უნდა ვივარაუდოთ, რომლის ყველაზე ადრეული ეგზემპლარი ნოქალაქევის მონაპოვარი გახდება და ის სულ ცოტა ორი საუკუნით აძველებს მინანქრის ისტორიას ჩვენს ქვეყანაში.

ნივთის ციფრული გამოსახულების ვარიანტი ჩვენმა ბრიტანელმა კოლეგებმა წაიღეს ინგლისშიც სადაც ის სხვადასხვა საუნივერსიტეტო და სამუზეუმო განყოფილებებსა და სპეციალისტებთან გაივლის კონსულტაცია-განხილვას.

თუ არ ჩავთვლით ჩვენს მიერ აღწერილ აღნიშნულ ნივთს, სხვა მხრივ სამარხი უინვენტაროა.

2002 წლის ე.წ. ორმიცვალებულიანი სამარხის სამსრეთით, იმავე დონეზე („0”-ვანი ნიშნულიდან 2.15 სმ, მიწის ზედაპირიდან 1.40 სმ) თხრილის დასავლეთ ნაწილში, რიგით III სამარხის პრეპარაცია მოხერხდა. ამ სამარხშიც მიცვალებული ზურგზეა გაშოტილი. დამხრობა მკვეთრად ორიენტირებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. (კონტ.№309) მიცვალებულს ფეხები გადაჯვარედინებული აქვს (მარჯვენა ფეხი მარცხენაზეა გადადებული). იდაყვებში მოხრილი ზედა კიდურების მტევნები ყელისა და ნიკაპის არეში ულაგია. მიცვალებული ჩასვენებული იყო ხის სათავსში (კუბო?) გამოვლენილია ხის ძალზედ ფრაგმენტული ნაშთები. სამარხი სრულიად უინვენტაროა. მხოლოდ ტოპოგრაფიიდან გამომდინარე სამარხის ზოგად თარიღად IV-VI სს-ს მივიჩნევთ. სავარაუდოდ მიცვალებული ქალი უნდა ყოფილიყო.

შესაძლოა ამავე სამარხს უკავშირდებოდეს და ერთ კონტექსტში მოიაზრებოდეს, რიგით მეოთხე სამარხი, რომელიც მესამე სამარხთან თითქმის თანაარსებობს. (კონტ. 312) სამარხს აშკარად ემჩნევა ნაჩქარევად დაკრძალვის

კვალი. დაკრძალვა არ მომხდარა **O-W**-ის მკაცრად ორიენტირებულ ხაზზე. თავი მიცვალებულს ოდნავ სამხრეთ-დასავლეთით უდევს, შესაბამისად ფეხები ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს აქვს. ჩონჩხი ნაკლულია. თითქმის მთლიანად აკლია მარცხენა ფეხის მუხლი და მუხლს ქვედა ნაწილი. მხარ-ლავიწისა და ნეკნების დიდი ნაწილი. სამრხი მთლიანად უინვენტაროა. ის მოწყობილია „0”-ნიშნულიდან 2.15 სმ, ხოლო მიწის ზედაპირიდან 1.55 სმ-ის სიღრმეში. სამარხის თარიღად წილა სამარხის მსგავსად ზოგადად ახ.წ. IV-VIსს მიგვაჩნია. (რადაგან დათარიღების უფრო მყარი საფუძველი არ არსებობს).

B თხრილის ერთ-ერთ საინტერესო სამარხი (კონტ.323), რომელიც ასევე სრულიად უინვენტაროა გამოვლენილია თხრილის ცენტრალურ ნაწილში. სამარხი **O-W**-ის ხაზიდან ოდნავ გადახრილია და დაფიქსირებულია მდგომარეობა სამხრეთ-დასავლეთი (თავისათვის) – ჩრდილო-აღმოსავლეთი (ქვედა კიდურებისათვის). მიცვალებული დაკრძალულია ზურგზე. ჩონჩხს აღენიშნება მექანიკური პათოლოგია. კერძოდ ქვედა კიდურების ბარძაყის ძვლების ზედა ნაწილში მახვილადაა წაკვეთილი.

2003 წლის არქეოლოგიური სეზონის ბოლო სამარხი **B** თხრილისათვის იყო სამარხი 325-ე კონტექსტში. ჩონჩხი მეტნაკლებად **O-W**-ის ხაზზეა ორიენტირებული. ჩონჩხი როგორც ჩანს ზრდასრული ადამიანისაა, გაშოტილია ზურგზე. მკერდსა და ტანზე ასვენია პატარა ბავშვი. აღნიშნულ სამაროვანზე ბავშვებთან ერთად დაკრძალვა აღარაა შემთხვევითობა. მექანიკური პათოლოგია ამ ჩონჩხსაც აშკარად ემჩნევა: ქვედა კიდურები მუხლ-სახსრის არეში წაკვეთილია. სამარხი მოწყობილია „)”-ვანი ნიშნულიდან 2.15 სმ-ის სიღრმეში სამრხის პრეპარაციის შემდეგ ჩონჩხის ქვეშ, მენჯის ძვლების არეში ორი რკინის მოზრდილი რგოლი დაფიქსირდა (ღეროს სისქე–0,9სმ, d-3,7სმ). რგოლები შესაძლოა რაღაცა ფორმით ტანსაცმელზეც მაგრდებოდა (ქამრის ნაწილები ?)

როგორც აღვნიშნავდით ახლადმიკვლეული სამაროვანი ჯერ მხოლოდ ორი წელია რაც ითხრება. ძნელია ჯერჯერობით ვისაუბროთ თუ რა ტერიტორიაზე ლოკალიზდება ის, ან რა მიზეზთა გამო შეიქმნა, მაგრამ ზოგიერთი ზოგადი ვარაუდის გამოთქმის საშუალება ჩვენს ხელთ არსებულ მწირ მონაცემებზე დაყრდნობით მაინც შესაძლებელია:

1. სამაროვანს დღეს უკვე შესწავლილი პერიმეტრიდან გამომდინარე აშკარად ემჩნევა ნაჩქარევად მოწყობის კვალი. სამაროვნის მომწყობი საზოგადოება ძალზე ჩქარობს. შეიძლება ითქვას დასაფლავების პროცესი სპონტანურია, სამაროვანს არ ემჩნევა სისტემატურობის არანაირი კვალი. ზოგიერთ შემთხვევაში სრულად არც ხდება ორიენტირების დაცვა (თუმცა ეს უკანასკნელი შესაძლოა მიწის ტექტონიკური ცვალებადობითაც აიხსნას).
2. დღემდე ჩვენს მიერ გამოვლენილი ძვლოვანი მასალის დიდ უმრავლესობას აშკარად აღენიშნებათ მექანიკური დაზიანებების კვალი: ზოგს კიდურებზე (ძირითადად ქვედა) იშვიათად თავის ქალებზე. ამისი გამომწვევი მიზეზები შესაძლოა სხვადასხვა იყოს.

2003 წლის არქეოლოგიური კამპანიის დროს გადაწყდა თხრილის გადიდება ჩრდილოეთის მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში მიმატებულ ფართობზე ჩვენ მხოლოდ ნარევი ფენის გადახსნა შევძელით. ახლად მიმატებულ ნაწილის უკიდურეს ჩრდილოეთ მონაკვეთში ადრე ნათხარ მცირე ზომის თხრილს წავაწყდით. არ გამოვრიცხავთ, რომ ის 1930-31 წწ. დრ. ა.შნაიდერის მიერ გაკეთებულ შურფთაგან ერთ-ერთი იყოს.

თხრილის მთელ პერიმეტრზე არქეოლოგიური სამუშაოები 2004 წლისათვისაც განსაზღვრულია.